№ 32

ფასი 50 კაპ.

წელიწადი მეორე — წელიწადი მეორე

მთავრობის მოამბე — ყოველდღიური გაზეთი

# საქართველოს რესპუბლიკა

კვირა, 9 თებერვალი 1919 წ.

მთავრობის მოამბე, ყოველდღიური გაზეთი

(ოფიციალური და არა ოფიციალური განყოფილებით)

## „საქართველოს რესპუბლიკა“

**მიიღება ხელის მოწერა 1919 წლისათვის.**

**ხელის მოწერის ფასი:** ერთი წლით—120 მ. ნახევარი წლით—60 მ., ერთი თვით 10 მ. ცალკე ნომერი ყველგან 50 კაპ. სავალდებულო განცხადებანი დადგენილი ნიხრით, კერძო განცხადებანი შეთანხმებით. გაზეთზე ხელის მოწერა მიიღება დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ბარონის ქ. № 6, ტელეფონი 1—82.

## სახელმწიფო თეატრი

— ოპერა. —

ს. ი. ევლახიშვილის დირექცია.

კვირას, 9 თებერვალს დილით ოვსიანიკოვაიას და ნ. ეზროვის ბენეფისი. მონაწილეობენ: ვიშემირსკაია, შვამბერგი, იანსა, ოვსიანიკოვი, კანშინი, სარაჯიშვილი, ნიკოლსკი, დემიანენკო, ეზროვი. დაიდგმება „რუსლან და ლიუდმილა. საღამოს ფ. ნ. პოლიაევის სასცენო მოღვაწეობის ათი წლის შესრულების გამო—იუბილეი. დაიდგმება: „მეფის საცოლე“. მონაწილეობენ: საბანეევა, სპიტკო, მოროზოვა, ზალიპსკი, პალიაევი, ნიკოლსკი, ისეცკი. სამშაბათს, თებერვლის 11-ს მარიამ ივანეს ასულის ალეშკოს, ზალიპსკის, ვრონსკის მონაწილეობით „ტოსკა“. ოთხშაბათს, თებერვლის 12-ს ა. მ. კანშინის გამოსათხოვარი ბენეფისი. შვამბერგის, იანსას, მოროზოვას, კანშინის, პოლიაევისა და ინაევის მონაწილეობით „პიკის ქალი“. ხუთშაბათს, თებერვლის 13-ს, გამოსათხოვარი ბენეფისი ა. ნიკოლსკის ალეშკოს, იანსას, მოროზოვას, კანშინის, ზალიპსკის, ისეცკის მონაწილეობით „ბორის გოდუნოვი“. შაბათს, თებერვლის 15-ს, შვამბერგის ბენეფისი. შვამბერგის ბენეფისი. შვამბერგის, იანსას, კანშინის, პოლიაევის და ისეცკის მონაწილეობით „ოტელო“. 209

**დია ჩიაჩელი.**

**შემოდგომის ცრემლები.**

იყიდება ყველა წიგნის მაღაზიებში. ფასი 6 მან.

8—8 55

# ქართველო მებრძოლთ!

ქართველთა ლეგიონი იწვევს მოხალისეებს

ახალციხეში მოღალატეების წინააღმდეგ საბრძოლველად!

## მამულიშვილნო!

**ერთხელ კიდევ დაუმტკიცოთ მტრებს ქართველი ხალხის გმირობა.**

**მოიყარეთ თავი ლეგიონის დროშის ქვეშ.**

მისამართი: დიდი მთავრის ქუჩა, მეორე ვაჟთა გიმნაზიის შენობა.

ლეგიონის სარდალი **ლეო კერესელიძე.**

**მეუღლე დავით პავლიაშვილი**

აუწყებს თავისი ცოლის

**ქეთევან ანტონ ჩიქოვანის ასულის**

უდროოთ გარდაცვალებას.

დაკრძალვა მოხდება დღეს, 9 თებერვალს, წმ. ნინოს კუკიის სასაფლაოზე. წირვა და ანდერძი აგებულ იქნება იმავ სასაფლაოს ეკლესიაში.

კვირას, თებერვლის 9-ს

## საქართველოს მეომართა დამხმარე კომიტეტის ბინაზე

გოლოვინის პრ., № 24.

**დანიშნულია კომიტეტის წევრთა საზოგადო კრება.**

განსახილველია: 1. მეომართა დამხმარე კომიტეტის მოღვაწეობის მოკლე ანგარიში. 2. ომში დაღუპულ და დასახიჩრებულ მეომართა ოჯახების დამხმარე საზოგადოების წესდების პროექტი. 3. მიმდინარე საკითხები. 205 2—2

რენტგენის და ელექტრონის სნმკურნალო კაბინეთი წითელ ჯვრის რენტგენოლოგის და მიხეილის საავადმყოფოს

ექიმ

**ა. ლევენშტეინისა**

იღებს ავადმყოფებს $10^1/_2$ 1 საათამდე და 4-იდან 7-მდე კვირა დღის გარდა. შინაგან და ქალთა ფილტვების სატკივრებისთვის. (სპეციალურად გულის, კუჭის და ქრონიკულ ავადმყოფებს ნერვიულ სისტემის და ქალურ სქესობრივ სფეროში.) რენტგენოგრაფია ჩაწერით. დაჭრილები რიგს გარეშე მიიღებიან. კრილოვის ქ. სახ. № 5 ბინა № 3. ტელეფონი 12—46 25—4 154

განახლდა ჟურნალ

## „საქართველოს ეკონომისტი“-ს

გამოცემა. ყოველგვარი მასალები დროებით უნდა გამოიგზავნოს შემდეგი მისამართით: კალოუბნის (ბარონის) ქ., № 5, მთავრობის სტამბა, „საქართველოს ეკონომისტი“-სათვის. 176 3—3

**სიღნაღის სამაზრო საერობო გამგეობა აცხადებს**

რომ საჭიროა სიღნაღის სამაზრო-საერობო

## ინჟინერი-ჰიდრავლიკი

მსურველმა თხოვნა უნდა შემოიტანოს ქ. სიღნაღში საერობო გამგეობის სახელობაზე. თხოვნაში აღნიშნული უნდა იყვეს მთხოვნელის curriculumvitae და სამსახურის პირობები.

სიღნაღის სამაზრო საერობო გამგეობა 180 3—1

## ტფილისის მაზრის ეროგის გამგეობა

ამით იწვევს ინჟინერს პრაქტიკული სტაჟით სატეხნიკო-საამშენებლო განყოფილების გამგეთ. სასურველია, რომ გაცნობილი იყოს საერობო მუშაობას. ქართული ენის ცოდნა აუცილებელია. ცნობებისთვის მიმართონ ერობის გამგეობას 11-დან 1 საათამდე. რუსთაველის ქუჩა (გოლოვინის პრ. № 6.) ტფილისის მაზრის ერობის გამგეობა. 2—1 185

## ოფიციალური განყოფილება

**სახელმწიფო საადგილ-მამულო ფონდიდან მცხოვრებთათვის მამულის კერძო საკუთრებად მიცემისა.**

1. სახელმწიფო საადგილ-მამულო ფონდის მამულები მიეცემა სოფლის მცხოვრებთ კერძო საკუთრებად გარდა იმ გამონაკლისა, რომელიც ამ კანონის შემდეგს (2) მუხლშია მოხსენებული.

2. გარდა იმ მიწებისა, რომელიც ამიერ-კავკასიის კომისარიატის 1917 წლის დეკემბრის 16 დეკრეტის მე-5-ე მუხლში და ამიერ-კავკასიის სეიმის 1918 წლის მაისის 2 კანონშია ჩამოთვლილი, არ განაწილდება მცხოვრებთა შორის აგრეთვე ის მიწებიც, რომელიც მიწათ-მოქმედების მინისტრის განკარგულებით გადასახლებისა და დასახლებისათვის დანიშნულ იქნება.

3. მიწა მიეცემა საკუთრებად იმ უმიწაწყლო და მცირედი მიწის მქონე სოფლელთ, რომელთა არსებობის მთავარ წყაროს შეადგენს სასოფლო-სამეურნეო შრომა.

**შენიშვნა:** მიწის საკუთრებად მიღების უფლება არ ეკარგებათ, უკეთუ ამ (3) მუხლში აღნიშნულ მოთხოვნილებას აკმაყოფილებენ,

მცხოვრებთ იმ ქალაქებისა, რომელნიც ქალაქებად გამოცხადებულ იქნენ 1917 წლის მარტის 1 შემდეგ.

4. უკეთუ რამდენიმე პირი, რომელთაც უფლება აქვთ ცალ-ცალკე ნორმის მიღებისა, წერილობით განაცხადებენ, რომ მათ ჰსურთ საზოგადო საკუთრებად შეიძინონ მათი ხვედრი მიწები, ასეთი მათი თხოვნა დაკმაყოფილებულ უნდა იქნეს.

5. აგრეთვე დაკმაყოფილებულ უნდა იქნეს სურვილი იმ სოფლის საზოგადოებისა, ან და სოფლისა, რომელიც საზოგადო საკუთრებად მოითხოვს მისი მცხოვრებლების ხვედრ მიწას, უკეთუ ასეთი თხოვნა დადასტურებულ იქნება განაჩენით, რომელიც დადგენილ იქნება სრულწლოვან მცხოვრებთა ხმების ორი მესამედით. ამავე დროს აღნიშნულმა სოფლის საზოგადოებამ, ან და სოფელმა უნდა წარუდგინოს დასამტკიცებლად ადგილობრივ საერობო გამგეობას, ხოლო სადაც ასეთი არ არის, საადგილ-მამულო გამგეობას, განაჩენი თუ, რა წესით უნდა ისარგებლონ სოფლელებმა აღნიშნულ მიწებით.

6. საძოვარი (выгонныя) ადგილები სოფლის საზოგადოებას ან და სოფელს გადაეცემა საკუთრებად.

7, მიწა გადაეცემა სოფლის მცხოვრებთ საკომლოდ იმდენი, რომ მიცემული მიწა კომლის უძრავ ქონებასთან ერთად არ აღემატებოდეს იმ ნორმას, რომელიც მიწების კონფისკაციის დროს დაწესებულ იქნა კერძო მფლობელთათვის ამიერ-კავკასიის სეიმის 1918 წლის მარტის 7 კანონის მე-2-ე მუხლით. ამ ფარგლებში მიწები ისე უნდა იქნეს განაწილებული, რომ უპირატესობა მიეცეს ოჯახს, რომელსაც საკუთარი შრომით დაუმუშავებაა ეს მიწა, თანაც ყურადღება უნდა მიექცეს ოჯახის მოთხოვნილების დაკმაყოფილებას.

**შენიშვნა:** უკეთუ საერობო ან საადგილ-მამულო გამგეობა აღძრავს შუამდგომლობას, მიწათ-მოქმედების მინისტრს ნება ეძლევა კერძო შემთხვევაში ამ კანონის მე-7-ე მუხლში მოხსენებული ნორმა შესცვალოს.

8. აგრარული რეფორმის ცხოვრებაში გატარება ამ კანონის საფუძველზე დაევალოს მიწათ-მოქმედების სამინისტროს, რომლის ადგილობრივ ორგანოებს ამ საქმეში შეადგენენ: ა) სამაზრო საერობო გამგეობა, რომელზედაც გადადის სამაზრო საადგილ-მამულო გამგეობათა უფლებანი და მოვალეობანი, ბ) სამაზრო საადგილ-მამულო გამგეობა იმ ადგილებში, სადაც საერობო გამგეობა არ არის არჩეული და გ) სარაიონო კომისიები.

9. მიწათ-მოქმედების სამინისტროს განკარგულებით ყოველი მაზრა გაიყოფა სააგრარო რაიონებად, თითეულ რაიონში შესდგება სარაიონო კომისია, რომელსაც ირჩევს სარაიონო თათბირი 3—5 პირისაგან. სარაიონო თათბირს, რომელიც შესდგება სათანადო რაიონის საერობო ხმოსნებისა და სოფლების ორ-ორი წარმომადგენლისაგან, მოიწვევს სამაზრო საერობო გამგეობა, რომლის ერთ-ერთი წევრიც გასწევს თავმჯდომარეობას, იმ მაზრებში, სადაც საერობო ხმოსნები არ არიან არჩეული, სარაიონო თათბირი შესდგება ზემოთ აღნიშნულ სოფლის წარმომადგენელთა და საადგილ-მამულო გამგეობის მიერ დანიშნულ იმდენ წევრებისაგან, რამდენიც საერობო ხმოსანია დაწესებული ამ რაიონისთვის. ასეთ მაზრებში სარაიონო თათბირს მოიწვევს სამაზრო საადგილ-მამულო გამგეობა, რომლის წევრიც გასწევს თავმჯდომარეობას.

**შენიშვნა:** თითეულ სარაიონო კომისიას ჰყავს მდივანი და მიწის მზომელი, რომელთაც დანიშნავს მიწათ-მოქმედების მინისტრი განსაზღვრულ ჯამაგირით.

10. საქართველოს საადგილ-მამულო ფონდს, რომელიც ადგილობრივ მცხოვრებთ უნდა მიეცეს, მიწათ-მოქმედების მინისტრი გაანაწილებს მაზრებს შორის, ხოლო მაზრებში რაიონებ შორის. რაიონისთვის დანიშნული ფონდი დანაწილდება სარაიონო კომისიის მიერ სოფლის საზოგადოებათა, სოფელთა და კერძო პირთა შორის, რომელთაც ამ კანონით მიწა ერგებათ.

11. იმ პირმა, რომელსაც მიწის მიღების უფლება აქვს, თავისი სურვილი უნდა განუცხადოს სარაიონო კომისიას, რომელსაც უნდა წარუდგინოს აგრეთვე ცნობები, თუ რამდენი და რა სახის მიწა აქვს მას. ის პირი, რომელიც განზრახ ყალბ ცნობებს წარადგენს თავის უძრავ ქონების თაობაზე, დასჯილ იქნება ციხეში დაპატიმრებით ერთი თვიდან ერთ წლამდე და მიწის მიღების უფლების წართმევით, ხოლო თუ ამ გზით მიწის მიღებას მოასწრებს მიღებული მიწა ჩამოერთმევა სახელმწიფოს სასარგებლოდ.

12. სარაიონო კომისია ვალდებულია შეამოწმოს, თუ რამდენი საკუთარი მიწა აქვთ იმ პირთ, რომელნიც ფონდიდან ითხოვენ მამულს, გამოარკვიოს რაოდენობა იმ პირთა, რომელთაც მიწა ერგებათ და აღნიშნულ რაიონში ფონდის სივრცისა და მიწის მოთხოვნილების მიხედვით მოახდინოს მისი განაწილება თანახმად ამ კანონის 3-7 მუხლებისა.

13. სარაიონო კომისიას ნება აქვს სათანადო რაიონის ფარგლებში მოაწყოს კომისიები სოფლის საზოგადოებებში და სოფლებში 3-5 პირისაგან, რომელთაც ამოირჩევენ სოფლის საზოგადოებები და სოფლები კუთვნილებისამებრ. თითეულ სოფლის საზოგადოების კომისია წარუდგენს სარაიონო კომისიას თავის მოსაზრებებს, თუ როგორის წესით უნდა განაწილდეს სოფლის საზოგადოებისათვის დანიშნული ფონდი სოფლებ შორის, ხოლო ცალკე სოფლის კომისია-სოფლის მცხოვრებთა შორის.

14. როცა სარაიონო კომისია, გამოარკვევს, თუ რამდენი მიწა უნდა მიეცეს ამა თუ იმ სოფლის საზოგადოებას ან სოფელს საზოგადო საკუთრებათ, ხოლო კერძო პირს კერძო საკუთრებად, შეადგენს მიცემის აქტს კომისიის ყველა წევრის ხელისმოწერით და როცა სოფლის საზოგადოება ან სოფელი და კერძო პირი წარმოადგენს სახელმწიფო ხაზინიდან ხვედრი ფულის შეტანის კვიტანციას გაუგზავნის აქტს დასამტკიცებლად სამაზრო საერობო გამგეობას, ხოლო სადაც ასეთი არ არსებობს, სამაზრო საადგილ-მამულო გამგეობას.

**შენიშვნა:** მიწათ-მოქმედების მინისტრს ნება აქვს თითეულ კერძო შემთხვევაში ორ წლამდე განუგრძოს მყიდველს სიღარიბის გამო ხვედრი ფულის გადახდის ვადა, უკეთუ ამის თაობაზე შუამდგომლობას აღძრავს საერობო ან და საადგილ-მამულო გამგეობა.

15. დაინტერესებულ სოფლის საზოგადოებას, სოფელს თუ კერძო პირს შეუძლიანთ სარაიონო კომისიის განკარგულება გაასაჩივრონ სამაზრო საერობო გამგეობაში, ხოლო სადაც ასეთი არ არის—სამაზრო საადგილ-მამულო გამგეობაში ერთი კვირის განმავლობაში დღიდან კომისიის მიერ დადგენილების გამოცხადებისა. საჩივარი წარედგინება თვითონ სარაიონო კომისიას, რომელიც თავის განმარტებით გადასცემს მას საერობო ან საადგილ-მამულო გამგეობას არა უგვიანეს სამი დღისა საჩივრის მიღებიდან.

16. სამაზრო საერობო ან საადგილ მამულო გამგეობა მოისმენს დაინტერესებულ მხარეთა განმარტებას უკეთუ ისინი გამოცხადდებიან და გამოიტანს განაჩენს, შემდეგ ან უცვლელად დაამტკიცებს სარაიონო კომისიის მიერ წარმოდგენილ მიწის მიცემის აქტს, ან შეიტანს მასში ცვლილებას, ან სარაიონო კომისიას მოსთხოვს ახალ აქტის შედგენას. გამგეობის მიერ დამტკიცებულ აქტს აქვს ძალა ნასყიდობის სიგელისა (купчей крѣпости). მისი პირი მიეცემა სოფლის საზოგადოებას, სოფელს ან კერძო მყიდველს, ხოლო მეორე პირი წარედგინება უფროსს ნატარიუსს სიგელთა რეესტრში აღსანიშნავათ.

17. მცხოვრებთა შორის განაწილებული მიწა გაიყიდება იმათზე, ვისაც მიწის მიღების უფლება აქვს, რათა ამ გზით დაფარულ იქნეს ხარჯი, რომელიც სახელმწიფოს დაედება საადგილ-მამულო ბანკების ვალების თავის თავზე გადატანით, ზოგიერთი მიწების გაშრობის და მორწყვის, გადასახლების და დასახლებისა აგრარულ რეფორმის განხორციელებისა და მასთან შეკავშირებულ აუცილებელ საჭიროებათა დაკმაყოფილების გამო და აგრეთვე ცალკე ფონდის დაარსებით, რომელიც საჭიროა აუცილებელ სასოფლო სამეურნეო მოთხოვნილებათა დასამტკიცებლად. მიწათ-მოქმედების მინისტრი სამაზრო ერობებთან შეთანხმებით აწესებს თითეულ რაიონისათვის საშუალო შეღავათიან ფასს დესეტინაზე. საშუალო ფასის მიხედვით გამოიანგარიშება საერთო ჯამი, რომელიც რაიონს მოუწევს. ამ საერთო ჯამთან შეფარდებით სარაიონო კომისია დააწესებს მიწების ფასს მათი ღირსების მიხედვით.

**შენიშვნა:** ქალაქის ახლო მდებარე მიწები, აგრეთვე ვენახები და გაშენებული ადგილები გაიყიდება ნამდვილ ღირებულების მიხედვით.

18. ყოველმა დაწესებულებამ და თანამდებობის პირმა დახმარება უნდა გაუწიოს აგრარულ რეფორმის სისრულეში მომყვან ორგანოებს, ხოლო დაინტერესებულმა სოფლის საზოგადოებამ, სოფელმა და კერძო პირმა უნდა გადასცენ ამ ორგანოების განკარგულებაში გადასაზიდი საშუალებანი, მუშები, იარაღები და მასალები ყოველგვარ სამუშაოებისათვის და სამიჯნო ნიშნების ჩასაყრელად.

19. ყოველ შემთხვევაში, როცა ამ კანონით შეძენილი მიწების გადაცემა ხდება სამაზრო ერობას უნდა მიეცეს უპირატესობა შეიძინოს ეს მიწა გადახდილ ფასზე იმ ხარჯების დამატებით, რომელიც სახელმწიფო ფონდიდან მიწის შემძენს გაუღია მამულის გასაუმჯობესებლად დღიდან შეძენისა. ამის გამო არც ერთი აქტი ამ მიწების გადაცემისა არ შეიძლება შესრულებულ იქნეს, უკეთუ წარდგენილი არ იქნება საბუთი ერობისაგან ამ უფლებაზე უარის თქმისა. ამ მოთხოვნას არ ექვემდებარება ის შემთხვევა, როცა რომელიმე პირი სახელმწიფოსაგან შეძენილ მიწას საჩუქრათ გადასცემს თავის ოჯახის წევრებს.

20. ამ კანონის განსამარტებლად მიწათმოქმედების მინისტრს ნება აქვს გამოსცეს ინსტრუქციები.

21. ეს კანონი ძალაში შედის დღიდან გამოქვეყნებისა მთავრობის ორგანო „საქართველოს რესპუბლიკაში“.

1919 წ. იანვრის 28-ს.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის ამხანაგი ექვ. თაყაიშვილი.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე ნ. ჟორდანია.

## რეალურ სკოლის შტატი.

| თანამდებობა. | მოსამსახურეთა რიცხვი. | გაკვეთილების რიცხვი. | წლიურად. ჯამაგირი. | წლიურად. ბინის ქირა. | წლიურად. სულ მ. | შენიშვნა. |
|---|---|---|---|---|---|---|
| დირექტორი | 1 | | 6900 | 2400 | 9300 | |
| ინსპექტორ. თანამ. ამსრ. | 1 | | 4800 | 1800 | 6600 | |
| **მასწავლებელი:** | | | | | | |
| ქართული ენისა და სიტყვიერების, რუსული ენის, გერმანულის, ფრანგულის, მათემატიკის და ფიზიკის, ბუნების მეტყველობის, გეოგრაფიის, ისტორიის | 10 | 214 | — | — | 80900 | 1. ანგარიში შედგენილია მასწავლებელთა უმაღლესი განათლების მიხედვით. |
| ხატვა—ხაზვის და სუფთა წერისა | 1 | 14 | — | — | 5500 | 2. გარდა შტატში აღნიშნულ საგანთა, იმ სკოლებში, სადაც ეროვნულ უმცირესობათა ენა, ისწავლება მასწავლებელი მიიღებს შტატის ჯამაგირს განათლების ცენზის მიხედვით. |
| გალობის და მუსიკისა | 1 | 10 | — | — | 2800 | |
| გიმნასტიკის | 1 | 14 | — | — | 3920 | |
| მოსამზადებ. კლასის მასწავ. | 2 | 40 | — | — | 12200 | |
| კლასის დამრიგებელი | 9 | — | — | — | 18900 | |
| კლასის დამრ. თანაშემწე | 1 | — | — | — | 5400 | |
| წერითი სავარჯ. გასწორება. | — | — | — | — | 12000 | |
| ფიზიკურ კაბ. გამგეობა და ცდისთვის. | — | — | — | — | 900 | |
| ბუნ. მეტყ. კაბ. გამ. და ცდისთვის | — | — | — | — | 900 | 3. გარდა ამ საერთო ძირითად თანხისა სახელმწიფო ხაზინიდან ყოველ წლივ გაღებულ უნდა იქნეს ხუთწლეულები. |
| ექიმი | — | — | — | — | 3600 | |
| პედაგოგიურ რჩევის მდივანი | 1 | — | — | — | 600 | |
| ბიბლიოთეკის გამგე | 1 | — | — | — | 600 | |
| საქმის მწარმოებელი | 1 | — | — | — | 5400 | |
| საკანცელარიო ხარჯი | — | — | — | — | 3000 | |
| სასწავლო ნივთებისათვის | — | — | — | — | 4000 | |
| ბინის შენახვა | — | — | — | — | 25000 | |
| დაბალი მოსამსახურე | — | — | — | — | 29400 | |
| ჯ ა მ ი | — | — | — | — | 230920 | |

1919 წ. იანვრის 28-ს.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის ამხანაგი ექვ. თაყაიშვილი.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე ნ. ჟორდანია.

# სავალდებულო დადგენილება

ქ. ტფილისის და მისი მიდამოების გენერალ გუბერნატორისა, გამოცემული თანახმად მე 19 მუხლისა 1-ლი პუნქტისა, რომელიც არის საგუბერნიო დაწესებულებათა დებულების 23 მუხლის დამატება ტ. II გამოცემა 1892 წ.

1. ეკრძალებათ ყველა მცხოვრებლებს შეიძინონ ინგლისელების ჯარის კაცებიდან სახელმწიფო ტანთ-საცმელი, აბჯარ-მოკაზმულება და სხვა და სხვა სახაზინო ნივთები.

2. ამ სავალდებულო დადგენილების დამრღვევნი დაისჯებიან ადმინისტრატიული წესით დაპატიმრებით $1^1/_2$ წლამდე ანუ დაჯარიმებით 10000 მანეთამდე.

3. ესე სავალდებულო დადგენილება შედის ძალაში, დღიდან მისი გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ გამოცხადებისა.

გენერალ-გუბერნატორი შ. მაღლაკელიძე.

6 თებერვალი, 1919 წ.

ქ. ტფილისი.

# განცხადება

### ქ. ტფილისის და მის მიდამოების გენერალ-გუბერნატორისა.

31 წარსულ თვის იანვრის რიცხვიდან ჩემ მიერ გამოცემულ განცხადებას დამატებით საყოველთაოდ ვაცხადებ, რომ თანახმად საგუბერნიო საერთო დაწესებულებათა დებულების 23 მუხლის მე-19 დამატების მე-4 პუნქტისა (ტომი მე-II, გამოცემა 1892 წ.) სამჯავროს საერთო წესიდან ჩემ მიერ გამოყოფილი იქნება საქმეები ისეთ დანაშაულობათა შესახებ, რომლებიც გათვალისწინებულია მე 37, 38, 102, 115, 115[1] და 123 მუხლებში დებულებისა, იმ სასჯელთა შესახებ, რომელთაც სწყვეტენ მომრიგებელნი მოსამართლენი 1912 წ. დამატ. მიხედვით.

საქმეები ასეთ დანაშაულთა შესახებ გადაწყდებიან ჩემ მიერ ადმინისტრატიული წესით.

გენერალ-გუბერნატორი შ. მაღლაკელიძე.

6 თებერვალი, 1919 წ.

ქ. ტფილისი.

### შეცდომის გასწორება.

ჩვენი გაზეთის გუშინდელ ნომერში (№ 31) დაბეჭდილია გიმნაზიის ერთკომპლექტიანი შტატი, რომელსაც სათაურათ აქვს: „ვაჟთა გიმნაზიის ერთ კომპლექტიანი შტატი“, უნდა იყოს: „ქალთა გიმნაზიის ერთკომპლექტიანი შტატი“.

## არა ოფიციალური განყოფილება

# საგარეო საქმეთა მინისტრის

### მიმართვა ინგლისის მისიის უფროსისადმი.

თქვენს აღმატებულებას მოეხსენება, რომ მოკავშირეთა სარდლობასთან შეთანხმებით ჩვენ დაკავებული გვქონდა სოჭის ოლქი. ამიტომ საქართველოს მთავრობა დარწმუნებული იყო, რომ ეს მდგომარეობა არ გამოიწვევდა რაიმე გაუგებრობას ვისიმე მხრითაც არ უნდა ყოფილიყო.

ამა იანვრის 29 № 643 თარიღით გამოგზავნილი ნოტით მე პატივი მქონდა მეცნობებინა თქვენთვის, თქვენო აღმატებულებავ, სოჭის რაიონში მოხალისეთა ჯარის ნაწილების კონცენტრაციის შესახებ, ამ ნოტაში მე გთხოვდით თქვენ გეცნობებინათ ჩემთვის, რომ ეს ძალების კონცენტრაცია არ არის მიმართული საქართველოს რესპუბლიკის ინტერესების წინააღმდეგ.

ამის საპასუხოთ, თქვენი აღმატებულებისაგან 3 იანვარს № 124/5 ნოტის სახით მივიღეთ ცნობა, დიდი ბრიტანეთის უზენაეს სარდლობის მონდობილობით, რომ დიდ ბრიტანეთის მთავრობამ წინა დაუდება მისცა ღენერალ დენიკინს დაიცვას საქართველოს რესპუბლიკის მთლიანობა, ხელ შეუხებლობა და თავი შეიკავოს მის შინაურ საქმეებში ჩარევისაგან.

საქართველოს მთავრობას მიაჩნდა, რომ ეს ნოტა მისთვის წარმოადგენს საკმაო გარანტიას, რომ მოხალისეთა ჯარის რაზმების კონსცენტრაცია აღნიშნულ რაიონში, აღარ

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქენო, თქვენ ხელთაა თქვენი ქვეყნის ბედი! თქვენ უნდა გამოსჭედოთ საქართველოს თავისუფალი ცხოვრება!

მოქალაქენო! 14, 15 და 16 თებერვალს

# საქართველოს დამფუძნებელი კრების არჩევნებია!

# ემზადეთ არჩევნებისთვის!

ქმნოდა რაიმე საფრთხე საქართველოს რესპუბლიკისათვის.

საქართველოს მთავრობამ მიიღო ოფიცია-ლური მოხსენება იმის შესახებ, რომ მოხალი-სეთა ჯარის ნაწილები ამა წლის ექვს თე-ბერვალს მუხანათურად თავს დაესხენ ჩვენს სამხედრო ძალებს, სოჭის ოლქში და იმ დღის საღამოს კი სოჭის ოლქში დაბანაკებულ ქა-რთველი ჯარის სარდალს გენ. კონიაშვილს წარუდგინა შემდეგი შინაარსის ულტიმატუმი: „გენერალ კონიევს, მე მივიღე ბრძანება ჩემი უფროსიდან დავიკავო სოჭის ოლქი, ვი-ნაიდან სოჭის ოლქში ხდება ძარცვა-გლეჯა და ძალადობა. ამიტომაც თქვენ აღმატებუ-ლებას წინადადებას ვაძლევ სისხლის ღვრის თავიდან ასაცდენათ რაზმის იარაღი და სომ-ხური მასალა ჩამაბაროთ. ყველა მეომარი ქა-რთველი და ადმინისტრაციის პირნი თავი-სუფალნი იქნებიან იარაღის დაყრის შემდეგ და შეეძლებათ საქართველოში წასვლა, იარა-ღის დაყრა უნდა მოხდეს 1919 წ. 24 იან-ვარს, ღამის 12 საათზე. № 157.

ტუაპსის რაზმის უფროსი გენერალ-მაიორი ბურნევიჩი. რაზმის უფროსის თანამდებობის აღმსრულებელი პოლკოვნიკი ეფრემოვი.

გადაცემულია 1919 წლის 24 იანვრის 17 საათზე. პოლკოვნიკი ეფრემოვი.

თუ ამ დროზე იარაღი დაყრილი არ იქ-ნება, რაზმს წამოიყვანენ სოჭაზე.

გენერალ-მაიორი ბურნევიჩი".

ვაცნობთ, რა მოხალისეთა ჯარის ასეთ გა-მოსვლას, როგორც მუხანათურ და გაუმარ-თლებელ უმიზეზო თავდასხმათ საქართველოს რესპუბლიკაზე, რომელიც აშკარად არღვევს თქვენი მთავრობის რწმუნებას თქვენ მიერ 31 იანვრის ნოტაში აღნიშნულს—საქართვე-ლოს რესპუბლიკის მთავრობამ დამავალა მე განვუცხადო თქვენს აღმატებულებას კატე-გორიული პროტესტი მოხალისეთა ჯარის ასეთი გამოსვლის და ვაცხადებ, რომ საქართვე-ლოს მთავრობა ურთიერთ ზეგავლენის პრინ-ციპის მიხედვით მიიღებს ყველა ზომას თავის ინტერესების დასაცავათ და იარაღით ხელში დაიცავს ტერიტორიის ხელუხლებლობას და საქართველოს რესპუბლიკას, მისი ხალხის უფ-ლებებს და ინტერესებს".

საგარეო საქმეთა მინისტრი

ევგენი გეგეჭკორი.

## ბრძოლა საზღვრებზე.

**სოჭის ოლქში.**

სოჭის ოლქიდან მოსული უკანასკნელი ცნო-ბით ჩვენსა და მოხალისე ჯარების შორის ბრძოლა სწარმოებს სოჭის სამხრეთით მდება-რე რაიონში. დაწვრილებითი ცნობები ჯერ არ მოსულა. როგორც გადმოგვცემენ, დენი-კინის ჯარის ნაწილები გაჩერებას არ აპი-რებენ.

**ახალციხის მაზრაში.**

ახალციხის მაზრაში ჩვენი ჯარი შეტევას განაგრძობს. ბანდები არ ცხრებიან. მიღებუ-ლია ზომები ამბოხების საბოლოოდ აღმოსა-ფხვრელად.

**მაზნიაშვილის დეპეშა.**

გენერალი მაზნიაშვილი იუწყება: „სოფელი ხარეხი დავიკავე. სხვა სოფლებს წინადადება მივეცი იარაღი ჩამაბარონ და განდევნონ მაზრიდან ოსმალთა აფიცრები და ასკერები, წინააღმდეგ შემთხვევაში იარაღს მოვმართავ".

## მობილიზაცია

თანახმად მთავრობის დადგენილებისა ქუ-თაისის გუბერნიაში და სოხუმის ოლქში გა-მოცხადდა მობილიზაცია. უნდა გაწვეულ იქ-ნენ ყველა ის ახალგაზრდანი, რომელნიც და-ბადებულ არიან 1890, 1891 წლებში, ე. ი. 27 და 28 წლისანი.

## მთავრობაში

**ომის საჭიროებისათვის შემოწირული ფულის შესახებ.**

ომის საჭიროებისათვის შემოწირული ფუ-ლი, სადაც კი იგი არსებობს ამ ჟამათ შეტა-ნილ იქმნას სახელმწიფო ხაზინაში. თუ შემო-წირულება სახელობითია, იგი უნდა გადაე-ცეს დანიშნულებისამებრ. შემოწირული თან-ხიდან სამხედრო მინისტრის განკარგულება-ში გადაიდოს 50,000 მანეთი დახმარების აღმოსაჩენათ ომში დაღუპულთა, დაშავებულ-თა და მათი ოჯახებისათვის იმ შემთხვევაში, როდესაც აღნიშნული დახმარება სასწრაფო იქნება და დახანებას არ მოითხოვს.

**ცხენების შეძენის უფლება.**

მიეცეს სამხედრო მინისტრს უფლება თვი-სი კრედიტების ანგარიშში შეიძინოს უწყე-ბისათვის საჭირო ცხენები.

**სამოქალაქო ორდენის უარყოფა.**

ყოველგვარი სამოქალაქო ორდენი უარყო-ფილი იქმნას.

**„თეთრი გიორგი".**

საკითხი სამხედრო ორდენის „თეთრი გიორ-გის" დაწესებისა გადაეცეს სამხედრო უწყე-ბას.

**დამატებითი ჯარიმის გაუქმება.**

დამატებითი ჯარიმის გაუქმება, რომელიც დაკანონებულია ეგრეთ წოდებულ შემოსავ-ლის კვალობაზე, მოწონებულ იქმნას და წა-რედგინოს დამფუძნებელ კრებას.

**იარაღის საწყობი ქუთაისში.**

დაარსდეს ქუთაისში სამხედრო მასალისა და იარაღის საწყობი და ამასთან დაკავში-რებული ხარჯთ აღრიცხვა მოწონებულ იქმ-ნას.

**სამხედრო სასამართლოს შტატები.**

რესპუბლიკის სამხედრო სასამართლოს და მასთან არსებულ საბრალდებულო ზედამხედ-ველობის შტატების პროექტი მოწონებულ იქმნას და წარედგინოს დამფუძნებელ კრე-ბას.

**სუბსიდიაზე უარი.**

ეცნობოს ქალაქის თვითმართველობას, რომ რესპუბლიკის მთავრობას ტფ. პოლიტეხნიკუ-მისთვის არავითარი სუბსიდიის მიცემა არ შეუძლიან.

**კ რ ე დ ი ტ ი.**

გაეხსნას ფინანსთა მინისტრს 10 მილ. ფონდიდან 599,666 მან. 66 კ. კრედიტი გადა-სახადთა ინსპექციას 1918 წლის საკანცელა-რიო და სხვა ხარჯების დასაფარავათ.

**შემფასებელ კომისიის თავმჯდომარე.**

საქართველოს სატრანსპორტო საზოგადოე-ბასათვის გადასაცემ ქონების შემფასებელ კო-მისიის თავმჯდომარეთ დამტკიცებულ იქმნას გიორგი პავლეს ძე თუმანიშვილი.

**ექიმ-ფერშალთა დღიური.**

გაეხსნას შინაგან საქმეთა მინისტრს 10 მილ. ფონდიდან 122,820 მანეთის კრედიტი სამო-ქალაქო უწყების ბეითალ ექიმთა და ფერშალთა 1918 წლის 1 სექტემბრიდან 1919 წლის 1 იანვრამდე დღიური ფულის დასაკმაყოფი-ლებლათ.

**სამხედრო სასამართლოში მიცემა.**

ბორჩალოს მაზრის კომისარის თანაშემწის ლოლობერიძის საქმე გადაეცეს სამხედრო სასამართლოს.

**ელლინთა კავშირი.**

საქართველოს ელლინთა პირველი ეროვნული საბჭოს დაარსების შესახებ მთავრობამ დაად-გინა დაიჭიროს მასთან საქმიანი კავშირი და ეთხოვოს ორივე კავშირს გამონახონ შეთან-ხმების გზა.

**სახელმწიფო ქაღალდების დამმზადე-ბელ ექსპედიციისათვის.**

სახელმწიფო ქაღალდების დამმზადებელ ექს-პედიციის განკარგულებაში გადადებულ იქმ-ნას 10 მილ. ფონდიდან 99,071 მან. 20 კაპ.

**გემების შესაკეთებლათ.**

ფოთის ნავთსადგურში მდგომი ზოგიერთი გემების შესაკეთებლათ და მათი მოძრაობაში მოსაყვანათ დაინიშნოს პასუხისმგებელი მცოდნე მეზღვაური. აღნიშნული მეზღვაურის და ნავთსადგურის უფროსის კომპეტენციის გამორკვევა მოხდეს შეთანხმებით სამხედრო ფინანსთა და გზათა მინისტრებისა. საჭირო თანხა გაღებულ იქმნას ფინანსთა მინისტრის კრედიტებიდან.

## შინაგან საქმეთა სამი-ნისტროში

**საგუბერნიო სამმართველოების ლიკვი-დაცია.**

საგანგებო საუწყებათაშორისო კომისიამ, რომელიც შედგენილია შინაგან საქმეთა სა-მინისტროსთან და რომელსაც დავალებული აქვს შემუშავება იმ წესრიგისა, თუ რა სა-ხით და წესით მოხდეს გადაცემა საქმეების და ქონების გაუქმებულ საგუბერნიო მართვე-ლობებისა, თვის უკანასკნელ კრებაზე, რომე-ლიც შესდგა შინაგან საქმეთა სამინისტროს ვიცე დირექტორ გ. ა. ნანეიშვილის თავმჯდო-მარეობით, დაისახა ის დაწესებულებანი, რო-მელთაც უნდა გადაეცეთ, როგორც საქმეები საგუბერნიო სამმართველოებისა, ისე საქმენი და ქონებანი საგუბ. კომისრების კანცელარი-ებისა, გუბ. და სტატისტიკურ კომიტეტებისა. აღნიშნულმა კომისიამ საჭიროთ იცნა სასწრა-ფო ლიკვიდაციის მოსახდენათ საგუბერნიო სამმართველოების საქმეებისა, შესდგეს ამ სა-მმართველოებთან საგანგებო სალიკვიდაციო კომისია საგუბერნიო სამმართველოთა ყველა წევრებისაგან ე. ი. გუბერნიის სამმართველო-ების მრჩევლებისაგან, საგუბ. ინჟინრების, ექიმის საეჭიმლო ინსპექტორის, თავმჯდო-მარეობით შინაგან საქმეთა სამინისტროს წა-რმომადგენლისაგან და ამ კომისიას დაეკის-როს გამოარკვიოს წევრთა რიცხვის რაოდე-ნობა სასწრაფო ლიკვიდაციის მოსახდენათ, გამოარკვიოს სალსარო საქმეების გადაცემისა და მოახდინოს ფაქტიური გადაცემა საქმეები-სა და ქონების საგუბერნიო სამმართველოე-ბის სხვა და სხვა დაწესებულებების და ერო-ბებს, თანახმათ იმ წესისა, რომელსაც შეი-მუშავებს ეს კომისია. სალიკვიდაციო კომი-სიის არსებობის ვადა განსაზღვრულია 1 აპ-რილამდე მიმდინარე წლისა.

## ფოსტა-ტელეგრაფი

გაიხსნა ტელეგრაფის განყოფილება სო-ფელ ლიხაურში (ზურგეთის მაზრა).

## არჩევნების გარშემო.

**ამომრჩეველთა რიცხვი საქართველოში**

დამფუძნებელი კრების ცენტრალურ საარ-ჩევნო კომისიის ამომრჩეველთა რიცხვის შე-სახებ ცნობები მოვიდა საქართველოს თით-ქმის ყოველ კუთხიდან, გარდა შორაპნის მაზ-რისა და ბორჩალოსი. ამ ცნობების მიხედვით, ამომრჩეველთა რიცხვი შემდეგია:

| | | |
|---|---|---|
| ოზურგეთის | მაზრაში | 47,778 |
| ახალსენაკში | " | 80,000 |
| ზუგდიდის | " | 63,243 |
| ქუთაისის | " | 113,949 |
| რაჭის | " | 18,795 |
| ლეჩხუმის | " | 27,000 |
| გორის | " | 107,000 |
| ახალქალაქის | " | 25,000 |
| ახალციხის | " | 29,970 |
| ტფილისის | " | 55,570 |
| დუშეთის | " | 33,000 |
| თელავის | " | 40,000 |
| თიანეთის | " | 13,000 |
| სიღნაღის | " | 16,000. |

ამ ცნობებში აღნიშნული არ არის რაჭის მაზრის დიდათ მნიშვნელოვანი ჩასავალის რა-იონი, რომელიც ოსებით არის დასახლებული; ამ რაიონში საოცარი აგიტაცია სწარმოებს საქართველოს წინააღმდეგ და მცხოვრებლები არ უშვებენ საარჩევნო კომისიების აღმწერ-ლებს.

აღნიშნული არ არის არც მთელი ზემო-სვანეთი, სადაც გაუვალი თოვლია და შეუძ-ლებელია მცხოვრებთა აღწერა; ამავე მიზნით არ არის აღწერილი თიონეთის მაზრის დიდი ნაწილი,—ფშავ-ხევსურეთი.

არჩევნებში მონაწილეობას ვერ მიიღებს ვერც ბორჩალო და ამიტომ კომისიას არც ამ მაზრის შესახებ მოეპოება ცნობები.

რაც შეეხება შორაპნის მაზრას, მას ჯერ-ჯერობით აღწერის ცნობები არ წარმოუ-დგენია.

ამომრჩეველთა რიცხვი ქალაქებში:

| | |
|---|---|
| ოზურგეთში | 3,500 |
| ლანჩხუთში | 3,500 |
| ფოთში | 8,114 |
| სამტრედიაში | 6,300 |
| ახალსენაკში | 2,250 |
| ზუგდიდში | 63,743 |
| ხონში | 5,249 |
| ქუთაისში | 30,000 |
| ყვირილაში | 3,500 |
| ჭიათურაში | 2,358 |
| ხაშურში | 8,300 |
| სურამში | 2,500 |
| გორში | 5,700 |
| ტფილისში | 71,164 |
| თელავში | 5,000 |
| სიღნაღში | 6,000 |
| დუშეთში | 900. |

საერთო რიცხვი ყველა ამომრჩევლებისა მთელს საქართველოში 876,910.

**სიების გასწორება.**

ცენტრალურ საარჩევნო კომისიამ შეუძლე-ბლად სცნო იმ საქალაქო საარჩევნო სიებში დამატებითი ამომრჩევლების შეტანა, რომე-ლნიც გამოტოვებულ იქნენ საქალაქო არჩე-ვნების შემდგარ სიებში. მხოლოდ იმ პირთა შესახებ, რომელთა გვარი და სახელი სიებში შეშლილია, ცენტრალურ კომისიამ შესაძლებ-ლად სცნო შეცდომების შესწორება.

**ბარათების დარიგება.**

დამფუძნებელ კრების ტფილისის საქალაქო საარჩევნო კომისიამ გადასცა ფოსტის დამ-ტარებელთა კავშირს პირადობის ბარათები ამომრჩეველთა ჩასაბარებლათ. ამ ბარათე-ბის ჩაბარება კავშირმა უნდა დაამთავროს 11 თებერვლამდე, ის ბარათები, რომელიც ამ ვადაზე ვერ ჩაბარდებათ ამომრჩევლებს, დაბრუნებულ უნდა იქნეს და დაიგზავნოს სათანადო უბნების საარჩევნო კომისიებში, საიდანაც იგი ამომრჩევლებს შეუძლიათ მიიღონ ყოველ დღე არჩევნების დღემდე დღის 3 საათიდან საღამოს 9 საათამდე. უბნების საარჩევნო კომისიის ბინები იგივეა, როგორიც იყო საქალაქო არჩევნების დროს.

**კონვერტები.**

დამფუძნებელ კრების ტფილისის საარჩევ-ნო კომისიამ მიიღო რა მხედველობაში ტეხ-ნიკური პირობები, დაადგინა: კონვერტები ცენტრალურ კომისიის ბეჭდით ბიულეტენე-ბის ჩასადებათ ამომრჩეველთ არ დაეგზავ-ნოს მათ ბინებში პირადობის ბარათებთან. ამომრჩევლები კონვერტებს მიიღებენ სათანა-დო საუბნო საარჩევნო კომისიაში არჩევნების დღეებში 14—16 თებერვალს. ბიულეტენების კონვერტებში ჩასადებათ საკუთარი ოთახი, ანუ განაწილებული კუთხე იქნება დამზადე-ბული, სადაც მარტო მოსული ხმის მისაცე-მათ ამომრჩეველთ შეეძლებათ შესვლა. არჩევ-ნების საიდუმლოების დასაცველათ ამ ოთახში, ანუ კუთხეში არ შეუძლიანთ დასწრება პარ-ტიების წარმომადგენლთ და თვით საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებსაც.

**არჩევნები ლანჩხუთში.**

2 თებერვალს მოხდა ლანჩხუთის ქალაქის საბჭოს არჩევნები. ამრჩეველთა რიცხვი იყო 3440. საარჩევნო ყუთთან გამოცხადდა და ხმა მისცა 2022.

ამ ხმებიდან სოც. დემ. სიამ № 1 მიიღო 1589 ხმა, გაიყვანა 16 ხმოსანი; სოც. ფედ. № 2—229 ხმა, (2 ხმოსანი); ეროვ. დემ. № 4—114 ხმა (1 ხმოსანი); უპარტიო № 3—90 ხმა, (1 ხმოსანი).

## სამეურნეო დარგში

**ატენის ტყის სახერხი ქარხანა.**

მიწათ მოქმედობის სამინისტრომ გორის სამაზრო ერობას გადასცა ატენის ტყის სა-ხერხი ქარხანა.

**ხორბალის მიღება.**

ფოთში გემით მოუტანიათ 22 ათასი ფუთი ხორბალი ყუბანიდან (ნოვოროსიისკიდან). ხორბლის ტფილისში გადმოსატანათ გაიგზავ-ნა ვაგონები. ხორბლის მოსვლას ტფილისში ელიან ორშაბათს.

ბორჯომის სახელმწიფო ეროვნულ მამუ-ლის ტყეებში შეუდგენ ნეკერჩხალის წვენის შეგროვებას ნეკერჩხლის შაქრის მოსახარშათ.

# მუნიციპალური ცხოვრება.

## ახალი გამგეობის პირველი კრება.

ქალაქის გამგეობამ გუშინ გაუგზავნა ქალაქის საბჭოს ხმოსნებს საბჭოს 10 თებერვლის სხდომაზე განსახილველ საქმეების სია, რომელიც პირველად არის ქართულ ენაზე დაბეჭდილი. დღიური წეს-რიგი: ა) საბჭოს პრეზიდიუმის არჩევნები. 2) ქალაქის მოურავის, მისი ამხანაგის და გამგეობის წევრების არჩევნები. 3) კომისიების არჩევნები და 4) გამგეობის მოხსენება გადამდებ სენიანთა საავადმყოფოს მოსამსახურეთა მოთხოვნილებების შესახებ.

## საქართველოს ერობათა ყრილობა.

თებერვლის დამლევ რიცხვებში ტფილისში შესდგება საქართველოს ერობების წარმომადგენელთა ყრილობა.

## წყლის მიწოდების გამო.

გასულ ზაფხულს წყლის კრიზისის გამო ქალაქის გამგეობა იძულებული იყო ხარჯთაღრიცხვით დანიშნულ კრედიტებზე მეტი ხარჯი გაეწია ქალაქში წყლის მოსაწოდებლათ. ახალ წლამდე ზედ დამატებით ამ საგანზე გამგეობას დაუხარჯავს 127,381 მან. და ამ თანხის ზედ-დამატებითი ხარჯთ-აღრიცხვის შესახებ გამგეობას მოხსენება შეაქვს ქალაქის საბჭოში.

## ნავთის მიღება.

ქალაქის გამგეობამ ბაქოში იყიდა 10 ვაგონი ასანთები ნავთი, რომელსაც ამ დღეებში მოელის. ამის გამო გამგეობამ დაადგინა ამ ნავთის მოსათავსებლათ რეკვიზიცია უქნას ტერ-აბრამოვის ნავთის ბითუმ—საწყობს, რომელიც ჩერქეზიშვილის ქუჩაზეა.

## სახადი.

საქალაქო გადამდებ სენიანთა საავადმყოფოში და მის ნავთლუღის განყოფილებაში 6 თებერვალს მიიყვანეს 49 სახადით ავათმყოფი. იმავე დღეს გამოეწერენ 49 სახად მოხდილნი, გარდაიცვალა 3. 7 თებერვალს დარჩა 1.076 სახადიანი.

## სადეზინფექციო მუშაობა.

ტფილისში სახადით ავათმყოფობის გავრცელების გამო ქალაქის სადეზინფექციო კამერაში ქალაქის გამგეობის განკარგულებით დაწესდა, რომ დეზინფექტორებმა ბინების სადეზინფექციოთ იმუშაონ დღე და ღამე. ამისათვის დანიშნულია დეზინფექტორთა ოთხი რიგი. ყოველ მომუშავეთა რიგს კვირაში ერთი დღე ეძლევა დასასვენებლათ. ამას გარდა სადეზინფექციო კამერაში დაწესდა ტელეფონთან მორიგეობა დილის 7 საათიდან საღამოს $9^{1}/_{2}$ საათამდე და თუ გარემოება მოითხოვს ტელეფონების მუშაობა გაგრძელებულ უნდა იქნეს 16 საათამდე დღე და ღამის განმავლობაში.

## ტყის მასალის გადაცემა.

ქალაქის გამგეობამ დაადგინა საქართველოს ქალაქთა კავშირის სამეურნეო ბიუროს გადაეცეს ერთი ვაგონი საშენი ტყის მასალა მე-300 ვერსის საწყობიდან.

## დახმარება.

ქალაქის გამგეობამ დაადგინა დასახიჩრებულ ჯარის-კაცთა კავშირის სასადილო განთავისუფლებულ იქმნეს ქალაქის სასარგებლოთ დაწესებულ „სატრაქტირო" გადასახადიდან.

# სასოფლო მეურნეობისათვის

## სას. სამ. საზოგადოების კრება.

დღეს, 8 თებერვალს, დანიშნულია კავკასიის სასოფლო სამეურნეო საზოგადოების წევრთა საერთო კრება ამ საზოგადოების ახალ წესდების პროექტის და თვით საზოგადოების რეორგანიზაციის პროექტის განსახილველათ.

## ქართული სამუსიკო სასწავლებლის გახსნის დღესასწაული ქუთაისში.

2 თებერვალს გაიხსნა ქართული სამუსიკო სასწავლებელი დიდძალი საზოგადოების თანდასწრებით. დღესასწაულზე წარმოითქვა მრავალი სიტყვები. სასწავლებლის ხელმძღვანელმა დირექტორმა მ. ბალანჩივაძემ ტფილისიდან ათამდე მისალოცი დეპეშები მიიღო სხვა და სხვა დაწესებულებისა და პიროვნებისაგან და მათ შორის განათლების მინისტრისაგან.

საკონცერტო ზალაში გაიმართა მუსიკალური დილა, რომელზედაც სამუსიკო პროგრამა შეასრულეს ამ სასწავლებლის მოწაფეებმა. მშვენივრათ შეასრულა მოწაფეთა კვარტეტმა მ. შარაბიძის ხელმძღვანელობით ქართული ნაციონალური მარში „გაუმარჯოს ქართველ ერს" ნემეც მასწავლებლის რიბეს ლოტბარობით გერმანული „სამხედრო მარში" შუბერტისა.

ორ საათზე ამ დღესასწაულით ნასიამოვნები საზოგადოება დაიშალა და კანტორა „იმერეთი"-ს გამგემ ფოტოგრაფ ნ. სალარაძეს სურათი გადაალებინა საკონცერტო ზალაში ესკადრაზე სასწავლებლის ხელმძღვანელის მ. ბალანჩივაძის, მოწაფეების და სამუსიკო საზოგადოების გამგეობის წევრებისა, რომლებიც დამსხდირნი და დამდგარნი არიან ესტრადაზე ჩვენი ძველი და ახალი მოღვაწეების და მათში ნ. ჟორდანიას სურათების წინ.

სასწავლებლებში მოწაფეთა რიცხვი დღითი დღე მატულობს და დღემდი ორასამდეა. ეწვრებიან როგორც დილით, ისე საღამოობით სამაცადინოთ.

დამაარსებელი კმაყოფილია, რომ ეს კულტურული საქმე ასეთ ცუდ პირობებში მოაგვარა და ქართული მუსიკის საქმეს საძირკველი გაუკეთა.

# აჭარელთა ცხოვრების შესახებ

ბევრის ლაპარაკით თავს არავის შევაწყენ, რაკი დაჰკრა იმის საათმაც, რომ აჭარელ ქართველ მაჰმადიანებმა ბრუნდე თვალები გაისწორეს და ჩვენკენ გადმოიხედეს, ამიტომ ვალად ვრაცხ, რომ მათდა საყურადღებოდ მე გამოვაცხადო შემდეგი: ქართველ მაჰმადიანთ ცხოვრების შესახებ მე დავბეჭდე შემდეგი წიგნები, 1. მოკლე ისტორია ოსმალეთის ყოფილი საქართველოსი. 400 გვ. ფასი 60 კ., ეხლა ეს წიგნი აღარ იპოვება. 2. ქართველ მაჰმადიანთა დიდი გადასახლება, 300 გვ. ფასი 50 კაპ. აღარ არის. 3. ქართველ მაჰმადიანთა სოფლები და ხალხი 300 გ. ფასი 60 კაპ. აღარც ეს იშოვება. 4. ქართველების გამაჰმადიანება 300 გვ. აღარც ეს მოიპოვება. 5. ქართველ მაჰმადიანთა ცხოვრება, 300 გვ. ფასი 1 მანეთი. ამათ გარდა დაუბეჭდავი დარჩა შემდეგი წიგნები, რომელთა დაბეჭდვაც ახლა საჭირო გახლავთ, ვინაიდან აჭარლებმა უკვე კარგათ თუ არა, ცოტათ მაინც შეიგნეს თავიანთი ვინაობა და ისტორიის ცნობები. დაუბეჭდავი მაქვს შემდეგი წიგნები: 1. რა ენით უნდა განათლდნენ ქართველ მაჰმადიანთა ძენი. 100 ცალ წიგნის გამოცემას მოუნდება ხუთასი მანეთი. 2. ლაზისტან-ჭანეთის აღწერა—1.000 ცალის დაბეჭდვას მოუნდება 400 მან. 3. სელიმ ფაშა ყიფიანი. 1.000 ცალი წიგნის დაბეჭდვას 500 მან. 4. გურჯისტანის ქალი და მრავალცოლიანობა ქართველ მაჰმადიანებში. 1.000 ცალი წიგნის დაბეჭდვას მოუნდება 800 მ. 5. ქართველ მაჰმადიანთ სასულიერო წოდება, 1.000 წიგნის დაბეჭდვას მოუნდება 1.000 მ. 6. ქართველ მაჰმადიანთა ცხოვრების ისტორია ანუ მათი ცრუ-მორწმუნეობა, 1.000 წიგნის დაბეჭდვას მოუნდება 600 მან. 7. ქართველ მაჰმადიანთა ფაშები 1627 — 1878 წლამდე, 1.000 წიგნის დაბეჭდვას მოუნდება 1.000 მ. 8. ახმედ ფაშა ხიმშიაშვილი 1.000 წიგნის დაბეჭდვას მოუნდება 600 მ. 9. საბით ფაშა ჯაყელი, 1.000 წიგნის დაბეჭდვას დასჭირდება 600 მ. 10. სელიმ ფაშა ხიმშიაშვილი, 1.000 წიგნის დაბეჭდვას მოუნდება 800 მ. 11. ქართველ მაჰმადიანი მოწინავე და შეგნებულნი პირნი, 1.000 წიგნის დაბეჭდვას მოუნდება 800 მან.

იქნება გამოჩნდეს ვინმე და ინებოს, რათა მან თავის ხარჯით ერთ-ერთი ამ წიგნთაგანი გამოსცეს. წიგნს ჩვენ გამოვსცემთ და მთელს გამოცემას მათვე დაუბრუნებთ ფულის ნაცვლათ. ჩვენი სურვილია, რომ მარტოთ ეგები ეს ზემოთ დასახელებული წიგნები გამოიცეს როგორმე.

ზ. ჭიჭინაძე.

# ქრონიკა

◯ მთიელთა მთავრობის ცნობით ქ. გროზნა დაკავებულია მთიელთა რესპუბლიკის ჯარებით, ხოლო კავკავი ინგუშთა პარტიზანულ რაზმებით.

◯ ინგლისის ჯარის მთავარი სარდალი გენერალ ფორესტეს უოკარი ყარსში გაემგზავრა.

◯ დღეს მთაწმინდის მამა დავითის ტაძარში ოთხი წლის შესრულების თავზე გარდახდილი იქნება წირვა და პანაშვიდი საქართველოს კათალიკოზ-პატრიარქის მოსაყრე ლეონიდის მიერ ტფილისის სამღვდელოებითურთ. ეს პირველი პანაშვიდი იქნება დიდი მგოსნის აკაკის და ილიას და თავდადებული დიმიტრი ყიფიანის საფლავზე თავისუფალ საქართველოში.

◯ 6 თებერვალს ნ. ოგანეზოვის ბინაზე გრიბოედოვის ქ. № 7 შეიჭრენ რამდენიმე შეიარაღებული უცნობნი და წაიღეს ფული და ძვირფასი ნივთები 76000 მ. ღირებულობისა და მიიმალნენ.

◯ ამერიკის მისიამ, რომელიც იმყოფება სტამბოლში, შეიძინა სომხეთისათვის 100.000 ფუთი ხორბალი, 15.000 ფ. ბრინჯი და 3000 ფ. შაქარი. ეს სურსათი მალე გაიგზავნება ერევანში.

◯ 7 თებერვალს უცნობ ბოროტ განმზრახველებმა მომხმარებელ დუქნიდან № 2 მიხაილოვის პრ. № 59 მოიპარეს სხვა და სხვა საქონელი 20000 მან. ღირებულობისა.

◯ 6 თებერვალს, რეუტოვის ქუჩაზე თავის ბინაზე იპოვეს გვამი გ. მანიანცისა, რომელიც აღმოჩნდა ხანჯლით მოკლული.

◯ ორშაბათს, 10 თებერვალს, სამხედრო სამინისტროს კულტურულ განმანათლებელ სექციის წევრი პოლკ. ავ. აბესაძე ქართულ კლუბში წაიკითხავს ლექციას შემდეგ თემაზე: „რუსების ბატონობის პირველი ხანა საქართველოში". დასაწყისი საღ. 8 საათზე.

## განცხადებები


# ქართული შრიფტი

## სახელმწიფო და კერძო უწყებათა საყურადღებოდ!

ყოველგვარ საბეჭდ მანქანას უცვლი შრიფტს. დამზადებული მაქვს ლამაზი და გარკვეული ფოლადის ქართული შრიფტი საბეჭდ მანქანებისთვის. ფასი 400 მ.

ასოთა მჭრელი მ. დუბელირი
„სევერნი ნომრების" ქვეშ.

ამით ცხადდება, რომ ბენიამოვიჩის ათთიაქთან არსებულ საწყობის პატრონთა ამხანაგობა 1918 წ. დეკემბრის 1-დან გაუქმდა. ყველა ვექილობები, რომლებიც გაცემულია ამხანაგობის სახელით ან ამხანაგებთა შორის—გაუქმებულია. ამხანაგობის რწმუნებულები. 187 1—1

რ. გ. კეზერი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა მოწმობა № 243 და კვიტანცია № 5600, მიღებული ტფილისის ქალაქის გამგეობიდან 1918 წ. დეკემბრის 19-ს ბორჩალოს მაზრის 20 ბოჭკა ღვინის შემოტანის შესახებ. მოწმობა და კვიტანცია გაუქმებულად ითვლება. 177 1—1

ტფილისის სადგურზე სამს თებერვალს საღამოს დაჰკარგე საფულე ფულით და საბუთებით: პიროვნების მოწმობა ... მოწმობა „ბრაუნინგის" რევოლვერის № 1349... ტარების ნებართვა გენერალურ შტაბის განყოფილების ტელეგრაფის კანტორის მოხელე მიხაილ ცხონდიას სახელზე. ეს მოწმობა დღეიდან ითვლება გაუქმებულად. 182 3—

ანტონინა ალექსანდრეს ასული კალიუჟნაია აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პასპორტი № 1743, მიღებული ტფილისის პოლიცმეისტერის კანცელარიიდან 1907 წელს 12 მარტს, რაც გაუქმებულად უნდა ჩაითვალოს.
183 3—2

ოლღა დავითის ასული სუხიაშვილი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა ტფილისის ობოლთა სასამართლოს უკაზი, მიღებული 1918 წ. ივლისის 2-ს № 424, რომლითაც ის იყო დანიშნული ოპეკუნად ილია გიორგის ძე სუხიაშვილის ობლებისა და ქონების.
179 3—2

არუთინ სარკისის ძე დაბაგოვი ამით აცხადებს, რომ 27 იანვარს (ახალი სტილით) დავკარგე მოწმობა № 1388 პენსიისათვის შეტანილ ფულისა 1266 მან. და 77 კაპ. ორდერის № 12003. ჩაითვალოს გაუქმებულად.
3—3

ეპიფანე ჩიტას ძე ცეცხლაძე ამით აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პასპორტი, მიღებული ოზურგეთის სამაზრო მმართველობიდან № 532, ჩაითვალოს გაუქმებულად.
175 3—

დაიკარგა კახეთის რკინის ჟეტონის მოწმობა ვახტანგ ჟორდანიას სახელზე, რომელიც გაუქმებულად უნდა ჩაითვალოს.
3—3 17

# ექიმი ი. კ. აბაკელია

## შინაგანი ავადმყოფობა.

განსაკუთრებით ავადმყოფობანი გულმკერდისა, ფილტვებისა, სასუნთქისა, ფილტვების აპკისა გულისა და ჯირკვლებისა.

ამოცნობა (დიაგნოზი) და წამლობა ყოველ ჭლექისა სისხლნაკლულობისა და მალარიის. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე გარდა კვირისა საღამოს $4^{1}/_{2}$— 6 საათამდე.

პეტრე დიდის ქუჩა № 26. ტელეფ. 5—86.
№ 719.

# მიწათ-მოქმედების სამინისტრო

ხსნის ამ მიმდინარე თებერვლის 17-ს

## სასოფლო მეურნეობის საღამოს კურსებს

ორივე სქესის პირთათვის

სამი განყოფილებით: პირნახულის მოყვანის, საქონლის მოშენების (მერძეობითურთ) და მებაღეობის (ძვირფასი მცენარეებით).

თხოვნას იღებენ მიწათ-მოქმედების სამინისტროს შენობაში (პეტრე დიდის ქ., № 2... შესავალი ეზოდან, მესამე სართული) პირველი საათიდან სამ საათამდე.

თხოვნაზე ორი თითო მანეთიანი მარკა უნდა იყოს დაკრული. 178 10—4

# მიწათ-მოქმედების სამინისტრო

აცხადებს, რომ ორშაბათს, 17 თებერვალს 1919 წ.

სამინისტროს შენობაში (პეტრე დიდის ქ., № 22), დილის 10 საათზე მოხდება საჯარო ვაჭრობა ტფილისისა და ქუთაისის გუბერნიაში შემდეგი ტყეების გაჩეხვა და შეშის დამზადების უფლებაზე:

### ტფილისის გუბერნიის ტყეები.

1. მანგლისის—კვარტალი №№ 30, 40, 41, 43, 44, 48, 51, 55 და 57, ბელიკლოჩის სატყეო უბანში, 800 ოთხკ. საჟ. ფასი—42.400 მან. 2. გავაზის, ალაზანის იქითურ ხეობაში—3.000 ოთხკ. საჟ ფასი—159.000 მან.

### ყარაიაზის ტყეები.

3. შიხილინის—320 ოთხკ. საჟ. ფასი—16.960 მან. 4. სალოლინის—180 ოთხკ. საჟ. ფასი—9.540 მ. 5. ჩერემის უბანში, სად. გურჯაანს ახლო, სიღნაღის სატყეოს ფარგლებში—200 ოთხკ. საჟ. ფასი—10.600 მან.

### თელავის ტყეები.

6. ზემოხოდაშენის—400 ოთხკ. საჟ. ფასი—21.200 მან. 7. ვანთის, ბუშათის და ... ათუბანის, სადგ. ვაჩნაძიანთან ახლო,—500 ოთხკ. საჟ. ფასი—26500 მან.

### შულავერის ტყეები.

8. შულავერის—180 ოთხკ. საჟ. ფასი—9.540 მ. 9. დარბაზის—100 ოთხკ. საჟ. ფასი 5.300 მ. 10. ახკეპრინის—150 ოთხკ. საჟ. ფასი—7.950 მან. 11. შინიხის—800 ოთხკ. საჟ. ფასი—42.400 მან.

### ყოფილ კერძო მფლობელთა ტყეები.

12. ვანთას უბანი,—სად. ვაჩნაძიანის დასავლეთით, სოფ. ვანთას ახლო, 260 ოთხკ. საჟ. ფასი—13.780 მან.

### მარტყოფ-იორის ტყეები.

13. საგარეჯოსი—2.00 ოთხკ. საჟ. ფასი—10.600 მან.

### ყოფილ კერძო მფლობელთა ტყეები ქუთაისის გუბერნიაში.

14. მეორე ვახანის, ყოფილი ამერაჯიბისა, 160 ოთხკ. საჟ., რომლიდანაც 128 ოთხკ. საჟ. საშეშოა და 32 ოთხკ. საჟ. საამშენებლო, ფასი—11 395 მან.

ამავე დღეს მოხდება საჯარო ვაჭრობა უკვე დამზადებულ შეშისა ტფილისის გუბ. 15. სიღნაღის სატყეოში,—ჯიმით-კაკაბეთის და ჩერემსის—500 ოთხკ. საჟენამდე მორილ და ადგილობრივ დალაგებულ საშეშო ხეებისა. ფასი—40.000 მან.

ტყის გაჩეხის, შეშის დამზადების და გადატანის შესახებ ცნობების მიღება შეიძლება ყოველ-დღე, უქმეებს გარდა, მიწათ-მოქმედების სამინისტროს სატყეო განყოფილებაში (პეტრე დიდის ქ., № 22), 12—3 საათამდე. 29—30 5—3